ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 286 (13) 4 მაისი, 2015 წ

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა სოფელ ღორეშაში საზოგადოებრივი ცენტრი გახსნეს

29 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში, იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. ღონისძიებას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე შიო ხეცურიანი, იმერეთის გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამიერიდან ღორეშის საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და ყველაზე მოთხოვნადი კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. დაბადების მოწმობის, პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიღების, ქონების რეგისტრაციისა და საბანკო მომსახურებით სარგებლობისათვის ადგილობრივ მცხოვრებთ მუნიციპალურ ცენტრში წასვლა აღარ მოუწევთ, რაც მათ თანხებისა და დროის დაზოგვის საშუალებას მისცემს. უახლესი ტექნიკით აღჭურვილ შენობაში ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან დასაქმებულნი. საზოგადოებრივ ცენტრში იმუშავებს უფასო ინტერნეტი და კომპიუტერები.

ცენტრის კეთილმოწყობილი შენობა ხელმისაწვდომი იქნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, აგრეთვე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისათვის. მათ საშუალება ექნებათ, კომფორტულ გარემოში შეხვდნენ მოსახლეობას, მიაწოდონ ინფორმაცია, იმსჯელონ აქტუალურ საკითხებზე, დაგეგმონ და ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიება. ცენტრში განთავსებულია გამგებლის წარმომადგენლის ოფისიც.

საზოგადოებრივი ცენტრების მიზანი სოფლის მოსახლეობისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა. მისი კონცეფცია სახელმწიფო სერვისების განვიათრების სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეიქმნა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას უნარ-ჩვევების განვითარების ახალ შესაძლებლობებს აძლევს.

ღორეშის საზოგადოებრივი ცენტრი საქართველოში რიგით 21-ეა. ჩვენს მუნიციპალიტეტში კი, უკვე ორი ასეთი ცენტრი ფუნქციონირებს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, ხარაგაულს კიდევ ერთი საზოგადოებრივი ცენტრი კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში დაემატება და მოსახლეობა კეთილმოწყობილ გარემოში, ყოველდღიურ რეჟიმში შეძლებს მისთვის საჭირო დოკუმენტის მიღებას.

ცენტრის გახსნის ცერემონიალის დასრულების შემდეგ მედიასთან კომენტარი გააკეთა იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, იმერეთის გუბერნატორის მოადგილემ, იოსებ ხახალეიშვილიმა, და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა.

თეა წულუკიანი(იუსტიციის მინისტრი): „ღორეშის საზოგადოებრივი ცენტრი არა მარტო ღორეშას, არამედ სხვა ახლომდებარე სოფლებსაც გაუწევს მომსახურებას. მოსახლეობას ცენტრში საშუალება ექნება იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებისა და კერძო სექტორის სერვისების (ლიბერთი ბანკი, მაგთი და სხვა) მიღება. მთავრობის მიზანია, იუსტიციის სახლის ტიპის სერვისები მხოლოდ დიდი ქალაქების ფუფუნება არ იყოს და სოფლის მოსახლეობაც თვლიდეს, რომ მათ სოფელშიც აქვთ კომფორტი და პერსპექტივა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ეს რიგით მეორე ცენტრია და გამგებლის უდიდესი წვლილია იმაში, რომ უკვე მესამე ასეთივე ტიპის საზოგადოებრივი სახლის გახსნაზე ვსაუბრობთ. იდეა ბატონი კობადან მომდინარეობს. მე, უბრალოდ, მხარს ვუჭერ მას. იგი საკმაოდ აქტიური გამგებელია“.

იოსებ ხახალეიშვილი (იმერეთის გუბერნატორის მოადგილე): მისასალმებელია, რომ კიდევ ერთი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა იმერეთის მხარეში. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ზრუნავს ხელისუფლება სერვისების განვითარებაზე და მოსახლეობისათვის მის ხელმისაწვდომობაზე. ღორეშის საზოგადოებრივ ცენტრში მიმდებარე თემის მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, ადგილზე მიიღოს ორასზე მეტი სახის მომსახურება. იგეგმება ღორეშის გზის მოასფალტება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მოსახლეობის ხელმისაწვდომობას მუნიციპალურ ცენტრთან. ჩვენი ხელისუფლების დევიზი სწორედ ისაა რომ ყოველი ახალი დღე იყოს მოსახლეობისთვის უკეთესი“.

კობა ლურსმანაშვილი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი): მოხარული ვარ, რომ ხარაგაულში კიდევ ერთი საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა. დღევანდელი დღე ღორეშის მოსახლოებისათვის ნამდვილად წარმატებულია, მათ შესაძლებლობა ექნებათ ადგილზე მიიღონ სხვადასხვა სახის სერვის მომსახურება. იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, კიდევ ერთხელ გამოიჩინა ჩვენი მუნიციპალიტეტის მიმართ ყურადღება და ინტერესი. მას ძალიან კარგი იდეები აქვს, რომლის განხორციელებასაც ხარაგაულში გეგმავს. ქალბატონმა თეამ დასვა საკითხი, რომ ღორეშისა და ხევის საზოგადოებრივი ცენტრის ფართი სამინისტროს გადავცეთ, რადგან იუსტიციის სამინისტროდან უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭიროება ცენტრის ფუნქციონირებისათვის. მნიშვნელობა არ აქვს ფართი ვის კუთვნილებაში იქნება, მთავარია, რომ ცენტრი გამართულად ფუნქციონირებდეს და იყოს ხალხის სამსახურში. დღესვე მივიღეთ მხარდაჭერა და დასტური მინისტრისგან, რათა სოფელ კიცხში გაიხსნას რიგით მესამე საზოგადოებრივი ცენტრი. მინისტრი ივნისის თვეში ისევ გეგმავს ხარაგაულში ჩამოსვლას, სადაც ის იმერეთის რეგიონის მასშტაბით 300-მდე ბავშვს შეხვდება და ევროინტეგრაციის მნიშვნელობაზე გაესაუბრება.

გარდა ამისა, სოფელ ღორეშაში ცოტა ხნის წინ მოხდა გზების რეაბილიტაცია. 1986 წლის შემდეგ აქ გზა არ შეკეთებულა. 2016 წლის დასასრულს, სოფელს უკვე მოასფალტებული გზა ექნება. საუბარია საბავშვო ბაღის გახსნაზეც, რომლის კონტიგენტიც სოფელში არსებობს და მუნციპალიტეტი ამ საკითხზე აუცილებლად იზრუნებს. ასე რომ, მომავალში ჩვენ კიდევ უფრო წინ გადავდგამთ ნაბიჯებს ჩვენი რაიონის საკეთილდღეოდ.“

სერვის-ცენტრის გახსნას მიესალმებიან ადგილობრივები. ქალბატონი ლეილა ბარბაქაძე პირველია, ვინც საზოგადოებრივ ცენტრში მომსახურება მიიღო და ახალი პირადობის მოწმობა აიღო. ,,მთელი სოფელი გახარებულია. საბუთებისთვის მუნიციპალიტეტის ცენტრში გვიხდებოდა ჩასვლა, რაც დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. საზოგადოებრივი ცენტრი ამ საკითხების მოგვარებაში აქვე, ადგილზე, დაგვეხმარება. ძველი პირადობის მოწმობა მქონდა, დროის უქონლობის გამო ვერ ვახერხებდი შეცვლას, დღეს კი ამ მომსახურების მიღება თავად სოფელში შევძელი " - განაცხადა ადგილობრივმა მცხოვრებმა ლეილა ბარბაქაძემ.

ეკა შავიძე

საკრებულოს სხდომაზე აუდიტის დასკვნის შესახებ იმსჯელეს

30 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი განიხილეს. სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, აუდიტის დასკვნასთან ერთად წარმოადგინა. ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაციით, 2014 წლის ბიუჯეტის შესრულებას აუდიტის მიერ დადებითი დასკვნა მიეცა. მისივე თქმით, გასული წლის ბიუჯეტი სხვა პერიოდებთან შედარებით ყველაზე წარმატებული იყო.

საკითხთან დაკავშირებით დასკვნა წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა. მისი განმარტებით, კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობამ 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დადებითად შეაფასა.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ვაკანსია

გაზეთი ,,ახალი ხარაგაული“ აცხადებს ვაკანსიას **ჟურნალისტის** თანამდებობაზე. სასურველია დაინტერესებულ პირს ჰქონდეს ჟურნალისტური განათლება ან ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება.

მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე:

595-51-98-12 .

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიას ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 30 000 ლარით დააფინანსებს

27 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ახლადდანიშნულ დირექტორს, დეკანოზ მამა იოსებს (გაჩავა) და პედაგოგებს შეხვდნენ. ხარაგაულის სასულიერო გიმნაზია წლებია პრობლემების წინაშე დგას. ბავშვებს არახელსაყრელ პირობებში უწევთ განათლების მიღება, არ აქვთ სათანადო ინვენტარი, მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა და შენობა თავიდან ბოლომდე გასარემონტებელია. (თუ არ ჩავთვლით ამ ცოტა ხნის წინ ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ კეთილი ნებით იქ ჩატარებულ მცირედ სარემონტო სამუშაოებს). განსაკუთრებით ყურადსაღებია ასევე გიმნაზიის მასწავლებლების ხელფასების მომატების საკითხიც. სავალალოა, რომ მათი ღვაწლმოსილი სამსახური, ოფლჩაღვრილი ამაგი, წლების მანძილზე თითოეული ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში სამსხვერპლოზე მიტანილი მუხლჩაუხრელი შრომა სათანადო დაფასებას ვერ იღებდეს. შეხვედრა გიმნაზიაში ძალზედ პოზიტიურ ფორმატში წარიმართა. თავდაპირველად ბატონი კობა აღმზრდელ პედაგოგებს გულთბილად მიესალმა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების შესახებ ესაუბრა. „სახელმწიფო პროგრამებით, ადგილობრივი ფინანსებით, რეგიონალური განვითარების

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐᲡ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ 30 000 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ

◀ 1 ᲒᲒ.

ფონდის მხარდაჭერით ხარაგაულში ნამდვილად შეინიშნება მნიშვნელოვანი ძვრები. სულ ახლახანს გავხსენით რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის პროექტის ფარგლებში ახალი ემერჯენს ამბულატორია, რომელიც ხარაგაულისთვის საოცნებო იყო. გახსნაზე ჩამობრძანებულმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხარაგაულს სამომავლო გეგმების მოგვარებაში სრული მხარდაჭერა აღუთქვა და ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი წარმატებულია რეგიონში. ვფიქრობ პრემიერის კეთილგანწყობა არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამისა და პროექტის ჯეროვანი განხორციელებით დავიმსახურეთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და წინგადადგმული ნაბიჯია ისიც, რომ უახლოეს მომავალში ვაპირებთ მუნიციპალიტეტსა და გიმნაზიას შორის გავაფორმოთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რაც მოგვცემს საშუალებას პრობლემები, რომლის წინაშეც დგას დღეს სკოლა, უფრო ეფექტურად მოვაგვაროთ. აქამდე კანონი არ გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ ამ მიმართულებით რაიმე აქტივობები განხორციელებულიყო. მივიღეთ გადაწყვეტილება გიმნაზიის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ბიუჯეტიდან გამოვყოთ გარკვეული თანხა, არანაკლებ 30 ათასი ლარისა. რაც შეეხება პედაგოგების ხელფასების მომატებას, თუ კანონში რაიმე ცვლილება არ შევიდა, ამ კუთხით გამგეობას არაფრის გაკეთება არ შეუძლია. კიდეც რომ გამოვიჩინო გულისხმიერება და ამ დანიშნულებით ფული გადმოგრირცხოთ, ხაზინა არ გაგვატარებს და ამის საშუალებას არ მოგვცემს კანონთან შეუსაბამობაში გადარიცხული თითოეული თეთრი თავშივე განწირულია. ძალიან მინდა დაგეხმაროთ და პირადად მივიღებ უდიდეს სიამოვნებას, თუ ამის შესაძლებლობა მექნება. მაგრამ ამ ეტაპზე ვერაფერს გავაკეთებ, გამოსავალი სხვაგან უნდა ვეძებოთ“ - განაცხადა კობა ლურსმანაშვილმა.

რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე თავის მოსაზრებას უზიარებს პედაგოგებს და განმარტავს: „ხარაგაულის სკოლა-გიმნაზია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სკოლაა დღეს ხარაგაულში და ეს ყოველივე სასწავლო წლის ბოლოს მაჩვენებლებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს. დღეს სირცხვილიც კია, რომ სკოლას ასეთი შენობა აქვს, ხოლო აქ დასაქმებულ ადამიანებს მწირი ხელფასი. როდესაც გიმნაზიის დირექტორმა თხოვნით მომმართა, დაუყოვნებლივ გავაგზავნე ოფიციალური წერილი განათლების სამინისტროში, რომელშიც დეტალურად აღვწერე სკოლასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ კანონში პირდაპირ წერია - ერთ მოსწავლეზე, 300 ლარიანი ვაუჩერი კერძო სკოლას. ამიტომ თუ კანონში ცვლილება არ შევიდა, სამინისტრო უძულურია გაატაროს დამატებითი ღონისძიებები. თუმცა არ მინდა, იმედი გადაგიწუროთ და გეტყვით, რომ განათლების სამინისტრო მუშაობს - ინიცირება შეიტანოს კანონში - რათა ვაუჩერით გათვალისწინებული თანხის მომატება მოხდეს, რაც ავტომატურად გამოიწვევს ხელფასების ზრდას“.

გიმნაზის დირექტორმა დეკანოზმა იოსებ გაჩავამ პედაგოგებს პირობა მისცა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის რათა მათ სათანადო ანაზღაურება ჰქონდეთ. „მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ უცხოელებთან, პირველადი გასაუბრების ფონზე, ისინი მოხარულნი არიან ჩამოვიდნენ, ადგილზე გაეცნონ პრობლემებს, შემოვიდნენ არასამთავრობოების ხაზით, შეიმუშვონ გეგმები, მათ შორის ხელფასების მომატების საკითხზეც. ვგეგმავთ ერთობლივად განვახორციელოთ პროექტები, მოვიგოთ გრანტები, ვიქონიოთ მომავლის იმედი და სკოლის პირობები დამერწმუნეთ სულ მალე სასიკეთოდ შეიცვლება“.

თეა ᲒᲔᲠᲘᲫᲔ

ᲓᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲑᲐᲖᲐᲚᲔᲗᲨᲘ

ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ვარლამ ჭიპაშვილის ინიციატივით სოფლის ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავებისა და გამწვანების აქცია მოეწყო. აქციის მიზანი, სოფლის მოსახლეობის ჩართულობით, ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორიიდან პოლიეთილენის ბოთლების, პარკებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ხოლო შემდგომ დასუფთავებულ ტერიტორიაზე ახალი ნერგების გაშენება იყო. შეთავაზებულ მასშტაბურ სამუშოებში მოსახლეობა ხალისით ჩაერთო და აქცია წარმატებით განხორციელდა.

P.S. კარგი იქნება თუ სხვა დეპუტატებიც დადებითად გამოეხმაურებიან მსგავსი ტიპის ღონისძიებებს...

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲐᲣᲓᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲔᲡ

◀ 1 ᲒᲒ.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი ამბობს, რომ გასული წლის ბიუჯეტის ანგარიშს დადებით შეფასებას ვერ მისცემს, რადგან აუდიტს საბუღალტრო დოკუმენტაცია სათანადოდ არ აქვს შემოწმებული. ამის ერთ-ერთ მაგალითად იგი გამგეობის ავტომანქანებზე დეფექტური აქტების შედგენას ასახელებს. ბატონ თორნიკეს მიაჩნია, რომ გამგებლის მძღოლების მიერ დეფექტური აქტების შედგენა კანონდარღვევაა.“

აუდიტის დასკვნასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვთ ფრაქციების: ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ვარლამ (ტატო)თავზარაშვილს და ,,ქართული ოცნება -მრეწველების“ თავმჯდომარეს იუზა კელენჯერიძეს. ისინი აუდიტის დასკვნას დადებითად აფასებენ.

თორნიკე ავალიშვილის განცხადებას გამოეხმაურა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე და დეპუტატებს ყოფილი საკრებულოს თავმჯდომარის აკაკი მაჭავარიანის მიერ 2012 წელს გაფორმებული რამდენიმე ხელშეკრულება (ავტომანქანის შეკეთებასთან დაკავშირებით) გააცნო.

,,არც ერთი დეფექტური აქტი არ არის ლიცენზირებული სამსახურის მიერ გაკეთებული. ყველა მათგანი მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერაა შედგენილი. მაინტერესებს, ბატონო თორნიკე, თქვენი მმართველობის პერიოდში მძღოლების მიერ შედგენილი დეფექტური აქტები არ იყო კანონდაღვევა?“-მიმართა ვარლამ ჭიპაშვილმა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს. მისივე ინფორმაციით, 2012 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამსახურებრივი ავტომანქანის შეკეთებისათვის ბიუჯეტიდან 24 300 ლარია გახარჯული.

თორნიკე ავალიშვილმა წამოყენებული ბრალდება უარყო და მას აბსურდი უწოდა.

საბოლოოდ, დეპუტატებმა კენჭი უყარეს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2014 წლის ანგარიში ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს თავმჯდომარემ ინგა მაღრაძემ და მისმა თანაპარტიელებმა.

ამავე საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. მოხსენებითი ბარათის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის N694 განკარგულების საფუძველზე ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 20 იანვრის N 39 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით 998 321 ლარი გამოეყო. აქედან 642 357 ლარი- ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციისათვის მიიმართა, 51 087 ლარი კი-ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, 104 950 ლარი დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაციისთვის და 199 927 ლარი ბორითი - მარიამწყარო-ღორეშის გზის შეკეთებისათვის. საბიუჯეტო ცვლილების თანახმად, ა(ა)იპ -ების დაფინანსება 40,0 ათასი ლარით გაიზარდა. კერძოდ, ა(ა)იპ კულტურის ცენტრს 32,5 ათასი ლარი გამოეყო, ა(ა)იპ ცენტრალურ ბიბლიოთეკას 2,5 ათასი ლარი და ა(ა)იპ სასპორტო სკოლას - 5,0 ათასი ლარი. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაციით, ა(ა)იპ კულტურის ცენტრს თანხა კინოთეატრის თანამშრომლების ხელფასებისათვის, ხარაგაულის სახალხო თეატრის იმერეთის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობისთვის, 2 მაისს – ქუთაისობის დღესასწაულში ჩართვისთვის, სოხუმის თეატრის ღონისძიებისა და ქორეოგრაფიული ანსამბლის „უბისის“ თბილისის ფესტივალში მონაწილეობისთვის ესაჭიროება. ცენტრალური ბიბლიოთეკა 2,5 ათას ლარს „ჩვენი პატრიარქის“ წიგნის შესაძენად ითხოვს, ხოლო სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრს 5 ათასი ლარი წარმატებული ხარაგაულელი სპორტსმენის სტიპენდიისთვის სჭირდება.

წარმოდგენილ ცვლილებას საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

28 აპრილს ხარაგაულის კულტურის ცენტრში, თამაზ კიკნაძის 80 წლის იუბილე აღინიშნა. საღამოს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, ქალბატონი ირინე ჩხეიძე უძღვებოდა. თამაზ კიკნაძე შესანიშნავი რეჟისორი, მსახიობი, ლოტბარი და დიდებული ხარაგაულელი იყო. მან არაერთი საინტერესო როლი შეასრულა თავისი მოღვაწეობის პერიოდში. დიდებული ხარაგაულელი ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ კოლეგებმა, მოსწავლეებმა, თანამშრომლებმა და ოჯახის წევრებმა გაიხსენეს. ღონისძიება საინტერესოდ მიმდინარეობდა, რომელსაც განსაკუთრებულ ელფერს სძენდა ბატონი თამაზის საყვარელი სიმღერების შესანიშნავი შესრულება და მასზე მიძღვნილი ლექსები. საღამო სპექტაკლის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ ოსეფას სიმღერით დაასრულეს, რომელშიც ბატონი თამაზი ასრულებდა.

ირინე ჩხეიძე – გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი:

„დღე არ გავა კულტურის ცენტრში, რომ თამაზ კიკნაძე არ გავიხსენოთ. იგი იყო შესანიშნავი რეჟისორი, მსახიობი და პირველ რიგში ადამიანი, რომელმაც ძალიან საინტერესო სახეები შექმნა ხარაგაულის სცენაზე. დღეს იგი 80 წლის გახდებოდა. სამწუხაროდ თამაზ კიკნაძეზე წარსულში ვსაუბრობთ, მაგრამ სამაგიეროდ უკვდავია სიყვარული, რომელიც მან თითოეული ხარაგაულელის გულში დატოვა. მინდა განსაკუთრებულად გამოვყო სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“, სადაც ბატონ თამაზს პარტნიორობას ვუწევდი. ეს გახლდათ სპექტაკლი, რომელიც 1990 წელს საქართველოს თეატრალური ფესტივალის გრანპრიზე იყო ნომინირებული, ხოლო 1991 წელს ამ სპექტაკლით ვიმოგზაურეთ რიგაში, ლიმბაჟის თეატრალურ ფესტივალზე, საიდანაც დიდი წარმატებით დავბრუნდით. თამაზ კიკნაძეზე ამბობდნენ მის მიერ განსახიერებული დარისპანი, საქართველოს თეატრების სცენაზე შესრულებულ ნებისმიერ დარისპანს თამამად დაუდგება გვერდშიო. იგი ნამდვილად დააკლდა ხარაგაულს, მაგრამ ფრიად სასიამოვნოა ის, რომ მის კვალს ღირსეულად მიჰყვებიან შვილები ბათუ და ვასილ კიკნაძეები. ისინი ბუმბერაზი მამის მიერ ხარაგაულში შექმნილ პატარა კულტურულ ცხოვრებას საოცრად ლამაზად აგრძელებენ. დღეს საკმაოდ თბილი და სიყვარულით სავსე საიუბილეო საღამო გამოვიდა, სწორედ ისეთი როგორიც თავად ბატონი თამაზი იყო.“

მესამე საჯარო სკოლის პედაგოგმა, ქალბატონმა მერი გიორგიძემ, მადლობა გადაუხადა თამაზ კიკნაძის ხსოვნის საღამოს ორგანიზატორებს, შეკრებილ საზოგადოებას, რომელიც არ ივიწყებს პიროვნებისაგან გამოსხივებულ სიკეთეს. ისაუბრა თამაზ კიკნაძის ოჯახთან, მის შვილებთან ტკბილ ურთიერთობაზე, მოიგონა თამაზის აღმზრდელი დედა, ქალბატონი თინა ანთაძე და თავისი გამოსვლა დააბოლოვა მორის ფოცხიშვილის ლექსით „მოხვედი, შვილო?“, რომელსაც წლების წინ საოცარი დეკლამაციით კითხულობდა თამაზ კიკნაძე.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ



ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ ,,ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘ“ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲨᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲡ

საქართველოს ეპარქიების მიწვევით, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა სპექტაკლის ,,მოყვასისათვის შეწირულების“ ჩვენება სხვადასხვა ეპარქიებში დაიწყო. 21 აპრილს თეატრმა სპექტაკლი საჩხერე -ჭიათურის, ხოლო 1 მაისს ახალციხის, ტაო კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიებში გამართა. 22 მაისს ,,მოყვასისათვის შეწირულები“ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში იქნება ნაჩვენები. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სპექტაკლი მიხეილ თამარაშვილს, გრიგოლ ფერაძეს, მამა ილია კარტოზიას და იოსებ ჟორდანიას ეძღვნება.

საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე ახალგაზრდული საკრებულოს დეპუტატებს შეხვდა

27 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი კანონი თავისუფლება“ თავმჯდომარე, გიორგი ჭულუხაძე და პროექტის წარმომადგენლები ესტუმრნენ. შეხვედრა პროექტის „ახალგაზრდული თვითმმართველობის ინიციატივა 2015“ ფარგლებში „ხარაგაულის ახალგაზრდული საკრებულოს“ დეპუტატებთან გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე, თავმჯდომარის მოადგილე მანანა ბარბაქაძე და დაინტერესებული დეპუტატები ესწრებოდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარე ინგა მაღრაძე და საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ გელაშვილი, მოსწავლეებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკრებულოს მუშაობის სპეციფიკაზე ესაუბრნენ, ხოლო ა/ო-ს თავმჯდომარე გიორგი ჭულუხაძე მოსწავლეებს სამომავლო გეგმებზე ესაუბრა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში თანადგომას დაჰპირდა. შეხვედრის დასასრულს ნორჩმა დეპუტატებმა თავი წარუდგინეს დამსწრე საზოგადოებას და თავიანთ მოლოდინებზე ისაუბრეს.

იმის გასაგებად, თუ რას მოელის ახალგაზრდა დეპუტატი „ახალგაზრდული საკრებულოდან“ და რის გაკეთებას აპირებს იგი, მესამე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეს მარიამ თხელიძეს გავესაუბრეთ: „მოხარული ვარ, რომ პროექტში ვმონაწილეობ რადგან მეც ერთ–ერთი ხარაგაულელი ვარ. მიმაჩნია, როგორც მომავალ თაობას, რიგით მოქალაქეს, მეც მაქვს ვალდებულებები ჩემი რაიონის კეთილდღეობაზე ვიზრუნო. მჯერა, პროექტის საშუალებით შევძლებ იმ უნარ-ჩვევების შეთვისებას, რომელიც საჭიროა შემდგომში პროფესიული განვითარებისთვის. საშუალება გვექნება, გამოვხატოთ საკუთარი აზრი, შევქმნათ და დავწეროთ პროექტები, მივაწვდინოთ ჩვენი ხმა, როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობას, ასევე საკრებულოს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მხარდაჭერა და თანაგრძნობა ვიგრძენით ქალბატონი ინგა მაღრაძისგან, რის გამოც, ყველა წევრის სახელით, დიდ მადლობას ვუხდი მას. „ახალგაზრდული საკრებულოს“ დეპუტატები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით საუკეთესო მოსწავლეები და ახალგაზრდები არიან. ის, რომ ჩვენს შემადგენლობაში ბავშვები სხვადასხვა სოფლებიდან არიან წარმოდგენილნი, დაგვეხმარება იმაში, ზუსტად გავიგოთ რა პრობლემები აწუხებს არა მარტო ხარაგაულის მოსახლეობას - არამედ სოფელს. ახალგაზრდა დეპუტატებს მოვუწოდებ, იყვნენ გულახდილები, თამამები, არ უნდა მოერიდოთ იმის თქმა, რა აწუხებს ჩვენს რაიონს, რა პრობლემები აქვს სოფელს, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რა მიაჩნიათ პრიორიტეტად ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში და ა.შ. ყოველივე ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი იმისა, რომ პროექტმა გაამართლოს. ბავშვებმა უნდა შევძლოთ თავისუფალი აზროვნება და შეძლებისდაგვარად ჩავერთოთ თვითმმართველობის ფუნქციონირებაში, როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საქმიანობა წარმატებით განხორციელდება არამარტო ხარაგაულში, არამედ მთელს საქართველოში. მჯერა, ახალგაზრდა თაობა ვართ ის ძალა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გამოსწორებას ნამდვილად შეძლებს.“

თამარ მაღრაძე

რა საფეხურების გავლა მოუწევთ პედაგოგებს, ვიდრე წამყვანი მასწავლებლის სტატუსს მიაღწევენ

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი თავისი საქმიანობიდან უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებებს გამოყოფს და რეგიონების მასშტაბით მოკლე და გრძელვადიან ტრენინგებს ახორციელებს, რომელიც დირექტორებისთვის და სკოლების ადმინისტრაციებისთვის ტარდება. პროფესიული განვითარების ტრენინგები მიმდინარეობს ასევე ყველა საგანსა და პროფესიულ უნარებში, რომლებშიც პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები. მიმდინარე ტრენინგების უმთავრესი მიზანი სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაა, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებლის პროფესიის კარიერულ წინსვლას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ამოქმედებას, რაც გულისხმობს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას.

სწორედ ამ პროგრამის პრეზენტაცია ჩაატარა 28 აპრილს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მასწავლებლის სახლის წარმომადგენელმა, თბილისის N1 საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა თამუნა კაპანაძემ, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა საჯარო სკოლის დირექტორი ესწრებოდა.

ქალბატონი თამუნა ვრცლად ესაუბრა დირექტორებს მიმდინარე სიახლეებისა და პროექტების შესახებ და განმარტა, რომ განათლების სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერთიანი სისტემის დანერგვას, რომელიც პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას უზრუნველყოფს. მან დირექტორებს ასევე გააცნო სქემა, რომლითაც მასწავლებლის პროფესია რეგულირდება.

„მასწავლებლის პროფესია, როგორც რეგულირებადი პროფესია; პროფესიაში შესვლა - პროფესიაში შესვლის ალტერნატიული გზები; მომზადების პროგრამები - მასწავლებლის მომზადების ახალი საუნივერსიტეტო პროგრამები; დაქირავება - მასწავლებლის დაქირავების სამართლიანი მასწავლებლის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული სახელფასო პოლიტიკა; წინსვლა კარიერული წინსვლის მოქნილი მექანიზმი; განვითარება - პროფესიული განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობები; შეფასების სისტემა - მასწავლებლის შეფასების კომპლექსური და ეფექტიანი სისტემა, რომელიც ეფუძნება სამართლიანობის, ობიექტურობის, ვალიდობის, თანასწორობის, სანდოობის, გამჭვირვალობის პრინციპებს; სკოლების გაძლიერება პასუხისმგებლობის დელეგირებით და მათი სისტემური მხარდაჭერით“.

მასწავლებლები რამდენიმე კატეგორიად დაიყოფიან და სქემაში შემდეგნაირად გადანაწილდებიან: *პრაქტიკოსი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი და მენტორი მასწავლებელი.* რანგების მიხედვით მოხდება პედაგოგების ხელფასების ზრდაც. პრაქტიკოსი მასწავლებელი უნდა იყოს მოქმედი არასერტიფიცირებული მასწავლებელი; უფროს მასწავლებელს უნდა ჰქონდეს 13 კრედიტქულა და იყოს მოქმედი სერტიფიცირებული მასწავლებელი, არასერტიფიცირებული დოქტორი. წამყვანი მასწავლებელი უნდა ფლობდეს 17 კრედიტქულას და იყოს მოქმედი სერტიფიცირებული დოქტორი, ხოლო რაც შეეხება მენტორ მასწავლებელს ეს სტატუსი ჯერ ჩვენთან არ არის შემუშავებული“. შეხვედრა სკოლის დირექტორებთან საკმაოდ საინტერესო და შინაარსიანი აღმოჩნდა. როგორ მიიღეს დირექტორებმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან წამოსული სიახლეები კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ მარელისის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ვერა ოდიკაძეს „მნიშვნელოვანი სიახლეა, თუმცა ჩვენ ნაწილობრივ უკვე ვიცოდით ამის შესახებ. მოწოდებული კანონმდებლობის საფუძველზე განიხილება პედაგოგების ოთხი კატეგორია. პედაგოგებისთვის ნამდვილად საინტერესო შემოთავაზებაა. პირველ ეტაპი მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყება და პედაგოგების გადანაწილება კატეგორიების მიხედვით მოხდება. მასწავლებლებს, რომელთაც არ აქვთ ჩაბარებული გამოცდები, იქნებიან პრაქტიკოსი მასწავლებლები. ყველაზე საინტერესო ამ პროექტში ისაა, რომ პედაგოგებს, რომელთაც დაწყებული აქვთ გარკვეული აქტივობები, შეუნარჩუნდებათ აქამდე არსებული კრედიტქულები და განეული შრომა არ დაეკარგებათ. მათ ასევე შეუნარჩუნდებათ ის დანამატები, რომლებსაც სერტიფიცირების საფუძველზე კატეგორიების მიხედვით ღებულობდნენ. მნიშვნელოვანია ასევე პედაგოგების გარე შეფასების სხვა რაკურსში გადაყვანა. ცოტა არ იყოს ეს შეფასება მათთვის მტკივნეული თემა იყო. ჰქონდათ გარკვეული შიში, ვინ ჩამოვიდოდა, ვინ შეამოწმებდა მათ ცოდნას, შეფასდებოდა თუ არა მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილი ობიექტურად და ა.შ. ამიერიდან პედაგოგის გარე შეფასების მთავარი ხიბლი ისაა, რომ მასწავლებელს გაკვეთილზე აღარ დაესწრება გარეშე პირი, იგი თავად ჩაატარებს რამდენიმე გაკვეთილს კომპიუტერებითა და ვიდეოთვალით აღჭურვილ ოთახში და მათგან საუკეთესოს გაგზავნის შეფასებისთვის მასწავლებლის სახლში. გარე შეფასების შედეგებით პედაგოგი ყველაზე მეტ ქულას აგროვებს. მთავარია ასევე ელექტრონულ პორტფოლიოში შეტანილი ცვლილებები, დიდი შრომა გვჭირდებოდა, ყველა დეტალი, სასწავლო პროცესების მიმდინარეობის პერიოდში კონკრეტულად და დაწვრილებით უნდა შეგვეტანა პორტფოლიოში. ახალმა პროექტმა კი უფრო ლაკონური გახადა ამ კუთხით მუშაობა, მასწავლებელს დრო გამოუთავისუფლდება და იგი უფრო მეტ შრომას ჩადებს პროფესიული განვითარების ამაღლებაში. ერთი სიტყვით, ძალზე საინტერესო შეხვედრა იყო, მზად ვართ უკვე დავიწყოთ და პრაქტიკაში განვახორციელოთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შემოთავაზებული პროექტები და პროგრამები“.

თეა გერიძე

გვეამაყებით, რომ ხართ ასეთი...

საოცარი სიამაყის განცდა გეუფლება, როცა ეკუთვნი იმ საზოგადოებას, იმ გარემოს, რომელსაც ამშვენებს პიროვნება, რომელმაც უკვე შორს გაიტანა შენი პატარა დაბის სახელი. ერთხელ კიდევ უჩვენა სრულიად საქართველოს, თუ რა უკიდეგანოა საზღვარი ნიჭიერებისა, რაოდენ ძლიერია ძალა მოყვასის სიყვარულისა.

მე ბედნიერად მივიჩნევ ჩემს თავს, რომ ვარ თანამედროვე საყოველთაოდ აღიარებული ისეთი ჭეშმარიტი ქართველისა, როგორიცაა ქალბატონი იზა ვეფხვაძე. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობა ორ ათეულ წელს ითვლის, როცა ჩემმა ლექსებმა ქალბატონი იზას წყალობით, მზის სინათლე იხილა და მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ ,,აღმზრდელში“ დაიბეჭდა...

***

ვარ მერვე კლასის დამრიგებელი. სადამრიგებლო პროგრამაში გათვალისწინებული აქტივობის ერთ-ერთი ფორმა გვთავაზობს შეხვედრას ცნობილ ადამიანებთან. მაინტერესებდა ჩემი მოსწავლეების აზრი. ვისაუბრეთ ხარაგაულის საზოგადოების ცნობილ ადამიანებზე და ყველამ ერთხმად არჩევანი ქალბატონ იზა ვეფხვაძეზე შეაჩერა. ამან ძალიან გამახარა. ის ხომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია და მისი აღმზრდელი რამდენიმე პედაგოგი დღესაც დიდი რუდუნებით განაგრძობს მუშაობას ამ სკოლაში. მოსწავლეების სურვილის გაცხადებისთანავე შევუდექით ინტენსიურ მუშაობას. მერვეკლასელებმა დეტალურად შეისწავლეს ქალბატონი იზას ბიოგრაფია, პუნქტუალურად აღნუსხეს მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპები, მიღწეული წარმატებები და ის უამრავი ჯილდო, რომელიც ასე ამკობს მის უმშვენიერეს ბიოგრაფიას.

მადლობელი ვარ ჩემი ყველა მოსწავლისა, რომელთაც ასე ლამაზად წარმართეს ამ საინტერესო შეხვედრის ცერემონიალი. მიკერძოებას ვერვინ დამწამებს, თუ ვიტყვი, რომ ანა მაჭავარიანი წამყვანის ამპლუაში შეუდარებელი იყო. მადლობა ჩემი სკოლის დირექციას(დირექტორი ქალბატონი მარინე ხვედელიძე), პედაგოგიურ კოლექტივს, რესურსცენტრს, მოსწავლეთა მშობლებს, სტუმრებს და, უპირველესად, ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, რომელმაც ძალზე დატვირთული რეჟიმის მიუხედავად შეგვაძლებინა, რომ მოსწავლეებს ეხილათ სიყვარულის, მადლიერების, პატივისცემისა და სათნოების გამომხატველი დიდი გაკვეთილი. შთამბეჭდავი იყო ვიდეოკოლაჟი, რომლითაც ქალბატონ იზას აღმზრდელმა პედაგოგებმა: სკოლის იმჟამინდელმა დირექტორმა და ისტორიის მასწავლებელმა ანზორ არევაძემ, კლასის დამრიგებელმა, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, მერი გიორგიძემ, დაწყებითი კლასის მასწავლებელმა ნარი კურტანიძემ, რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ, ხარაგაულის საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა: ნიკოლოზ მაჭავარიანმა, რუსუდან ფცქიალაძემ, იზო ბარბაქაძემ, ზოია ბუხნიკაშვილმა გამოხატეს სიყვარული და მადლიერება ამ უმშვენიერესი ქალბატონის მიმართ.

ნამდვილად თეთრი შურის გრძნობა დამეუფლა ჩვენი სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის ქალბატონი მერი გიორგიძის მიმართ, როცა მისმა აღზრდილმა, ქალბატონმა იზამ, რეალურად შეაფასა ის ღვაწლი, რაც ქალბატონმა მერიმ შეიტანა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში, როგორც დამრიგებელმა და სიტყვიერების მასწავლებელმა. აბა, ვინ არ ინატრებს ასეთი პიროვნების მსაწავლებლობას, დამრიგებლობას...

მისთვის ჩვეული სითბოთი და სიყვარულით გამოხატა მადლიერება საპატიო სტუმარმა თავისი მშობლიური სკოლის ყველა იმ პიროვნების მიმართ, რომელთაც დიდი სითბო დაავანეს მის სულში. ულამაზესი სიტყვებით შეამკო მერვეკლასელები, მისცა სასარგებლო რჩევა-დარიგებანი, კარგი სწავლა და ბედნიერი მომავალი უსურვა მათ. ხაზი გაუსვა, რომ მას მუდამ ახარებდა და კვლავაც გაახარებს მშობლიური სკოლის წინსვლა-წარმატებანი, რის პერსპექტივასაც ნამდვილად ხედავს.

***

არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ჩემი პედაგოგიური გზის ხელდამსმელ ძვირფას ქალბატონებს - ენდი და იზა ბუაჩიძეებს. მათ ხომ გამორჩეულად უყვართ ქალბატონი იზა, დიდ პატივს სცემენ მის ნიჭიერებას. მათმა სტუმრობამ კიდევ უფრო მეტი ხიბლი მისცა ამ შეხვედრას.

***

მეორე დღეს, მერვე კლასში შესვლისას, ხვევნა-კოცნის ტყვეობაში აღმოვჩნდი...

- გმადლობთ, ჩვენო მანანა მასწავლებელო, ქალბატონი იზა რომ ასე ახლოს გაგვაცანი.

მისმა სასარგებლო რჩევებმა ჩვენი სამომავლო გზა უჩვეულო სხივებით გაანათა. ჩვენთვის დაუვიწყარია ეს შეხვედრა, ეს დიდი გაკვეთილი.

პირადად ჩემი მადლიერება ქალბატონ იზას მიმართ, იმ სტრიქონებით მინდა გამოვხატო, რომელიც ექსპრომტად გადმოიღვარა ჩემი სულიდან:

,,ჩვენში, ქალიაო, უთქვამთ მოკრძალებით,
ქალი პირმცინარი, მშვიდი,
მუზა ძლიერთა და სცენის ჯადოქარი,
სათაყვანებელი დიდი...
არ მოგკლებოდეთ ტაშის გრიალი,
მაყურებელი თბილი,
გვეამაყებით, რომ ხართ ასეთი -
ხარაგაულის შვილი!“

მანანა ჩაჩუა- სახვაძე
ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი

ა(ა)იპ ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის განცხადება

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინფორმაციით მიმდინარე წელს საბიბლიოთეკო კვირეული ჩატარდება ა/წ 30 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით დევიზით ,,ინოვაციური ბიბლიოთეკები თანამედროვე საზოგადოებისათვის“. ტრადიციულად ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთვება აღნიშნულ კვირეულში. კვირეულის ფარგლებში ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მასში შემავალ სასოფლო ბიბლიოთეკებში დაგეგმილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები. კვირეულის გახსნა მოხდება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 30 მაისს 2 საათზე, სადაც მიწვეულია ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი.

ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2014 წლის 12 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გასულ წელს გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალიტეტში სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედებს 4 ძირითადი და 11 ქვეპროგრამა;

სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების პროგრამა, რომელიც მოიცავს:

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ოპერაციები, სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ლეიკემიით დაავადებულთა და ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველყოფა;

სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დაკრძალვის ხარჯები;

9 აპრილს დაზარალებულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ჩერნობილის აფეთქების შედეგად დაზარალებულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

უსინათლოთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება;

უსინათლოთა ყოველთვიური დახმარება კომუნალური ხარჯების დასაფარავად;

სამამულო ომის ვეტერანთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება;

სამამულო ომის ვეტერანთა ყოველთვიური დახმარება კომუნალური ხარჯების დასაფარავად;

სოციალურად დაუცველთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების დახმარება სადღესასწაულო დღეებში საკვები პროდუქტების ან ფულადი სახით.

ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა;

პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში_200 ლარს, მესამე_300 ლარს, მეოთხე_400 ლარს, მეხუთე_500 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენის შემთხვევაში _ 800 ლარს.

სამამულო ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის პროგრამა (დაკრძალვის ხარჯი შეადგენას 250 ლარს);

სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარების პროგრამა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2014 წლის 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სოციალურ მიმართულებზე დაიხარჯა 726.7 ათასი ლარი. სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 4384 ბენეფიციარს. მათ შორის:

სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მედიკამენტების შესაძენად 1647 ბენეფიციარზე დაიხარჯა 167 675 ლარი;

ოპერაციებზე დახარჯულია _ 91 426 ლ (181 ბენეფიციარი);

სხვა სამედიცინო მომსახურეობაზე _ 149 560 ლარი (455 ბენეფიციარი);

სოციალურად დაუცველ გარდაცვლილთა დაკრძალვის ხარჯი ----45 700 ლარი (226 გარდაცვლილის ოჯახი);

გაჭირვებულ და დავრდომილ 27 მოქალაქეს გაეწია დახმარება 945 ლარის ოდენობით (თითოეულს 35 ლარი);

ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით 31 ოჯახისათვის შეძენილი იქნა საკვები პროდუქტები -- 516 ლარის ფარგლებში;

1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ 2 მოქალაქეს გადაეცა ---300-300 ლარი;

9 მაისთან დაკავშირებით სამამულო ომის 27 ვეტერანი მუნიციპალიტეტიდან დაჯილდოვდა 200-200ლარით (სულ 5 400 ლარი);

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან (1 ივნისი) დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 78 ბავშვს საჩუქრად გადაეცა 3 900 ლარი (თითოეულს 50 ლ.)

დედის (3 მარტი) და ქალთა (8 მარტი) დღეებთან დაკავშირებით მრავალშვილიან, დავრდომილ, ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დედებს სულ 269 ქალბატონს გაეწია 13 450 ლარის დახმარება (თითოეულს 50 ლ);

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დევნილებს, უკიდურესად გაჭირვებულ და მარტოხელა, საქ. ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა და ჩერნობილის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულ 338 ოჯახს გაეწია მატერიალური დახმარება --16 900 ლარის ოდენობით (თითოეულს 50 ლ);

პროექტ ეტალონის ფინალისტისათვის კომპიუტერის შესაძენად ---793 ლარი;

2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრის ოჯახის მატერიალური დახმარება --- 500 ლარი;

ომის ვეტერანების ყოველთვიური კომუნალური გადასახადებისათვის --8 075 ლარი (თითოეულს 25 ლ);

ზესტაფონის უსინათლოთა კავშირში გაწევრიანებულ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უსინათლო მოქალაქეებზე ყოველთვიური კომუნალური გადასახადებისათვის --- 7 760 ლარი(თითოეულს 20 ლ);

ღირსების მედლით დაჯილდოებულ 3 პედაგოგს ___600 ლარი (თითოეულს _ 200 ლარი);

ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით 38 ბენეფიციარზე გაიცა 12 850 ლარი;

ხარაგაულის საპატიო მოქალაქეებზე გაიცა 1000 ლარი (2 ბენეფიციარი);

სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტ ეტალონში მონაწილეთა გადასაყვანად გაწეულმა მომსახურებამ შეადგინა 2 960 ლარი;

სოციალურად დაუცველი და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარებისათვის დახარჯულია 5 187 ლარი (57 კუბ. მეტრი საშეშე მასალის ბარათის და მერქნის შესაძენად);

წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის დასახმარებლად დახარჯულია 2000 ლარი;

დიდი სამამულო ომის ვეტერანებისთვის გაზეთების შესაძენად დახარჯულია 400 ლარი;

საახალწლოდ სოციალურად დაუცველი სხვადასხვა კატეგორიის 712 მოქალაქეს გაეწია 35 600 ლარის დახმარება _ თითოეულს 50 ლარის ოდენობით;

დახმარება გაიცა შემდეგი კატეგორიის ოჯახებზე:

შშმ პირებს;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებს;

მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ყავთ არასრულწლოვანი 4 და მეტი შვილი;

ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილეებს;

იძულებით გადაადგილებულ პირებს;

დედი ან მამით ობოლი ბავშვის მეურვეებს;

9 აპრილის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს;

მარტოხელა დავრდომილ მოხუცებს;

უსახლკარო ოჯახებს;

უკიდურესად ღატაკ ოჯახებს;

დიდი სამამულო ომის მონაწილეებს;

სათნოების სახლის ბენეფიციარებს.

ახალშობილებილთა ოჯახების დახმარების პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 36 700 ლარი (214 ახალშობილი);

ომის ვეტერანების დაკრძალვის ხარჯი _ 1000 ლარი;

სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 128 ოჯახს კატეგორიების მიხედვით გაეწია დახმარება 115 200 ლარის ოდენობით.

გამგეობაში არსებული სპეციალური კომისია შეისწავლის მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებებს, ადგილზე მისვლით აფასებს მდგომარეობას და ანიჭებს კატეგორიებს:

ა) პირველი კატეგორიისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 1500 ლარამდე;

ბ) მეორე კატეგორია – 300 ლარიდან 1000 ლარამდე;

გ) მესამე კატეგორია – 200 ლარიდან 500 ლარამდე;

დ) დამხმარე შენობა-ნაგებობების განადგურების შედეგად მოქალაქეთათვის მიყენებული განსაკუთრებით დიდი ზარალის ასანაზღაურებლად 1000 ლარამდე.

გარდა გამგეობიდან დაფინანსებული პროგრამებისა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ სათნოების სახლი, რომელიც ემსახურება 69 ბენეფიციარს. მათ რიცხვში არიან სოციალურად დაუცველები, მოხუცები, ინვალიდები და მრავალშვილიანი ოჯახები. კვება არის ერთჯერადი, კვირაში 6 დღე. კვების რაციონში შედის წვნიანი, ფაფები, ხორცი, თევზი, ქათამი, კვერცხი, ყველი, პური, ლიმონათი, ხილი. სასადილო მუშაობს ყველა სადღესასწაულო დღეს და დღესასწაული აღინიშნება მცირედი საჩუქრებით. 2014 წელს სათნოების სახლის ბიუჯეტი შეადგენდა 91600 ლარს, აქედან კვებაზე იხარჯება 34700 ლარი, 12 თვის მდგომარეობით დახარჯულია 91600 ლარი. საშუალოდ ერთი კ/დღე შეადგენს 1,60 ლარს. ბენეფიციართა კვებასთან ერთად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სასადილო ეხმარება საკვები პროდუქტით.

ინტენსიურად ხორციელდება სამედიცინო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგი ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 14 ს/ამბულატორია, რომელთაგან 4 ორბრიგადიანია, დანარჩენი 10 _ ერთბრიგადიანი. სულ 18 ექიმი და 19 ექთანი. რამდენიმე ამბულატორია საჭიროებს რემონტს. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებით მრავალი ბავშვი დაცულია ჯანმრთელობის სხვადასხვა მძიმე დარღვევებისაგან; ამ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მუნიციპალიტეტში არსებული ს/ამბულატორიებიც, პროფესიული აცრები ტარდება ეროვნული კალენდრის შესაბამისად და სახელმწიფო ამჟამად უზრუნველყოფს 11 დაავადების ვაქცინაციას. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა მიმდინარეობს ძირითადად შეუფერხებლად, შეძლებისდაგვარად წარმოებს ტუბერკულიოზით დაავადებულ ავადმყოფთა გამოვლენა და მათი ჩასმა სამკურნალო პროგრამაში. აქვე წარმოებს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა და ონკოინკურაბელურ ავადმყოფთა მედიკამენტებით (მორფინით) უზრუნველყოფაც. მოქალაქეებს სამსახურის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში გაეწევათ კონსულტაცია საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე (მათ ურიგდებათ ასევე შესაბამისი საინფორმაციო ბიულეტენები).

სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ხარაგაულის სამი ბრიგადა სამედიცინო მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, სამსახური უზრუნველყოფილია ბაზისური მედიკამენტებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ავტოპარკი შეივსო ორი ერთეული ავტომობილით, მაგრამ რელიეფიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი საჭიროებს მაღალი გამავლობის ავტომობილის დამატებას.

იმის გამო, რომ შპს ,,რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის“ ხარაგაულის საავადმყოფოს ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ ხერხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა და ავადმყოფების გადამისამართება ხდება სხვა მუნიციპალიტეტის საავადმყოფოებში. თუმცა, სულ მალე დასრულდება ხარაგაულში ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, რაც მოსახლეობისთვის დიდი შეღავათი იქნება. მუნიციპალიტეტში, სოფელ ბორითის ტერიტორიაზე მოქმედებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და კატასტროფის ცენტრი, რომელიც დღეს ამბულატორიული სახის მომსახურებას უწევს მიმდებარე სოფლების მოსახლეობას.

სანიტარულ-ჰიგიენური კუთხით ინტენსიურად მიმდინარეობს მონიტორინგი საბავშვო-სააღმზრდელო დაწესებულებებში. პერსონალს ეძლევა რეკომენდაციები, რომ ყურადღება იქნას გამახვილებული საკვები პროდუქტების ხარისხზე, შენახვის პირობების ზედმიწევნით დაცვაზე და სწორად დამუშავება-მომზადებაზე. საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად სამედიცინო პერსონალი და ხელმძღვანელები მკაცრად იქნენ გაფრთხილებული ავადმყოფი ბავშვების იზოლირება-დათხოვაზე, პერსონალის მიერ პირბადეების მოხმარების აუცილებლობასა და ზოგადი ჰიგიენის დაცვაზე. ადმინტრაციულ ერთეულებში სან-ჰიგიენური მდგომარეობის თვალსაზრისით კეთილსაიმედო მდგომარეობაა, ყველა ადმინისტრაციული ერთეული, სადაც არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია ნარჩენების შემკრები კონტეინერებით.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ,,ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“, რომლის ფუნქციები ძირითადად ითვალისწინებს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას, მონიტორინგს დაავადებათა ეპიდზედამხედველობაზე, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს შემთხვევათა გამოვლენას, რეგისტრაციას, კვლევას, დადასტურებას, ანალიზს, მონაცემთა ანგარიშგებას, საპასუხო რეაგირებას და მზადყოფნასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, უკუკავშირს და კომუნიკაციას, მონიტორინგს იმუნიზაციაზე, სამიზნე კონტიგენტის აცრებით მოცვის მაღალი მაჩვენებლის მიღწევაზე.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ როგორც მეორადი, ისე პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის რგოლები.

პირველადი ჯანდაცვის რგოლებიდან მიღებული კონტიგენტის მიხედვით ხდება ასაცრელი მასალის წლიური საჭიროებისთვის შეკვეთის მიცემა, ასაცრელი მასალის შემოტანა კი ხდება დაავადებათა ეროვნული კონტროლის ეროვნული ცენტრიდან ყოველკვარტალურად სპეციალური ტრანსპორტით და ცივი ყუთით. ყოველი თვის ბოლოს ხდება ჩატარებული აცრების, ინფექციური დაავადებების აღრიცხვა, ანგარიშის დამუშავება, ნაერთის გაკეთება და წარდგენა რეგიონალურ ჯანდაცვაში. ხარაგაულის სჯც აღჭურვილია მაცივრებით ასაცრელი მასალის შესანახად. ტემპერატურის აღრიცხვა და დაფიქსირება ხდება ყოველდღიურად დღეში ორჯერ დილა-საღამოს. პირველადი ჯანდაცვის რგოლების უმრავლესობა აღჭურვილია მაცივრებით ასაცრელი მასალის შესანახად. იმ უბნებში, სადაც მაცივარები მუშაობს, ასაცრელი მასალა ინახება ოპტიმალურ ტემპერატურაზე, მოქმედებს გახსნილი ფლაკონის პოლიტიკა, ვაქცინების დანაკარგი შემცირებულია მინიმუმამდე. გახსნილ ფლაკონზე მითითებულია გახსნის თარიღი /რიცხვი, თვე, წელი/ ხოლო ვაქცინა, რომელიც მუშაობას მხოლოდ ერთი სამუშაო დღე, მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

იმუნიზაციის სამსახურის მიერ ხდება გრაფიკით გასვლა საექიმო უბნებში აცრებზე მონიტორინგის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში ყოველთვიურად ხდებოდა პოლიკლინიკის, სასწრაფოს, საავადმყოფოს, საექიმო უბნების პირველადი მონიტორინგი ეპიდზედამხედველობის და იმუნიზაციის მიზნით გრაფიკულად და საჭიროებისას. ყველა უბანი უზრუნველყოფილია მეთოდური მითითებებით და სამუშაო წიგნებით, ყველას აქვს ინფექციურ დაავადებათა ფორმა N60/ა.

2014 წელს აღრიცხული იყო წითურას 2 და წითელას 23 შემთხვევა, ყველა კერა იყო შესწავლილი, გამოკვლეული და უმეტეს შემთხვევაში დადგენილი იქნა ინფექციის წყარო. დადგენილი იქნა კონტაქტში მყოფი პირები. ყველა კონტაქტები 6 თვის ასაკის ზემოთ და სამედიცინო პერსონალი რაიონის მასშტაბით მთავრობის განკარგულების შესაბამისად გადაცრილი იქნა წითელას შემცვლელი კომპონენტის 1 დოზით, სულ 13 კონტაქტირებული პირი. ჩუტყვავილა _ 7 (არ ყოფილა აფეთქება); ტუბერკულიოზი _ 9 (ყველა კერა არის შესწავლილი და გამოკვლეული); შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი _2; შხამიანი მწერის ნაკბენი _ 48; ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია _ 402. ყველა დამკბენ ცხოველზე არის გაგზავნილი შეტყობინება ვეტ. სამსახურში დამკბენ ცხოველზე ვეტზედამხედველობის დასამყარებლად.საანგარიშო პერიოდში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

გეგმიური შემოწმებები ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, პარაზიტულ დაავადება ენტერობიოზზე გამოკვლევა ჩაუტარდა 144 აღსაზრდელს. პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიას თვითდინებით მიმართა 286 მოქალაქემ.

მოსახლეობის სამედიცინო დონის ამაღლების მიზნით ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაციული წერილი პარაზიტული დაავადებების შესახებ. მოსახლეობის პროფილაქტიკური განათლებისა და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ადგილობრივი პრესის მეშვეობით ინტენსიურად ხდება მოსახლების ინფორმირება ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე.

სამსახურის მიერ იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს ინტენსიურად გადაეგზავნება შუამდგომლობები მოქალაქეთა შესახებ, რომლებიც ითხოვენ გადამოწმებას სოცაგენტის მიერ.

სამსახურის მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად. მუნიციპალიტეტის 20 ადმინიტრაციული ერთეულის კერძო სექტორში განსახლებულია 114 დევნილი პიროვნება, რომელიც გაერთიანებულია 36 ოჯახად. 34 ოჯახი _ 111 პიროვნება აფხაზეთიდან დევნილია, ხოლო 2 ოჯახი _ 3 პიროვნება __ სამაჩაბლოდან. მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა სოციალურ პროგრამაში ჩართულები არიან დევნილები; ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, გამონაკლისის სახით, ხდება უკიდურესად გაჭირვებული დევნილი ოჯახების დახმარება საშეშე მასალით. სამსახურის მიერ ხდება დევნილი ახალშობილების დოკუმენტაციის მიწოდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რეგიონალურ სამმართველში.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბიუჯეტში მოსახლეობის ჯანმთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე დახარჯული თანხა ბიუჯეტის წლიურ ხარჯთან მიმართებაში (საკუთარ შემოსულობები) თითქმის 14%-ს შეადგენს.

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;
ტირაჟი 1000 ცალი

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.